საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N01-02/87

ქ. ბათუმი 22 ივლისი 2020 წელი

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ფარმაცევტის თანაშემწე" საკვალიფიკაციო კომისიის შექმნის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ"-ს დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი"-ს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 5 ოქტომბრის N02 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 8 თებერვლის №01-02/11 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერის 2020 წლის 21 ივლისის N621114 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ფარმაცევტის თანაშემწე" (2018 წლის საგაზაფხულო მიღება) პროფესიული სტუდენტებისათვის კვალიფიკაციის მინიჭების მიზნით შეიქმნას საკვალიფიკაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:
ა) მადონა მიქელაძე - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი, **კომისიის თავმჯდომარე**;
ბ) გულადი ფარტენაძე - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, კომისიის წევრი;
გ) მანანა პატარაია - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სპეციალისტი, **კომისიის მდივანი;**
დ) მზია ბაკურიძე-პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
ე) სოფიო ბრუნჯაძე - პროფესიული განათლების მასწავლებელი;
ვ) მარინე კვირიკაძე-გურგენიძე - პროფესიული განათლების მასწავლებელი;
ზ) მანანა ბაუჟაძე - შ.პ.ს. "გოლდფარმის" დირექტორი, დამსაქმებელი.
2. კომისიამ იხელმძღვანელოს ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ' ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის №01-02/11 ბრძანებით, პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეებით და წინამდებარე ბრძანებით.
3. კომისიამ იმუშაოს 2020 წლის 24 ივლისს დღის 10:00 საათიდან 17:00 საათამდე.
4. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი").
5. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს და კომისიის წევრებს.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**